ગુગ

განმარტება

ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს თავისუფალი ფორმის ნარკვევს

ესეში განხილულია

ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა პრობლემები

ესეს შინაარსობრივი ტიპები

ლიტერატურულ-
პუბლიცისტური
კრიტიკული
ფილოსოფიური
ისტორიული
სამეცნიერო
ბიოგრაფიული
ფსიქოლოგიური
სოციალური

ესე არის არც თუ ისე დიდი მოცულობის თხზულება, რომელსაც აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული ფორმა და სტრუქტურა

ესეს სტრუქტურა
სამი ნაწილი და სამი ფუნქცია

ესე სამი ნაწილისაგან შედგება

შესავალი

ძირითადი ნაწილი

დასკვნა

შესავლის ფუნქცია

წარადგენს თემას და
ინფორმაციას განსახილველი თემის შესახებ.

უნდა მოიცავდეს საკვანძო დებულებას.

ნაშრომის წასაკითხად განაწყოს მკითხველი.

როგორ უნდა დავწეროთ შესავალი

- მოიფიქრეთ ორიგინალური დასაწყისი
- მოერიდეთ შაბლონურ და პათეტიკურ წინადადებებს
- მოერიდეთ ბუნდოვან ფრაზებს, აზრი გამოთქვით მარტივად და ნათლად
- განსაზღვრეთ თქვენი მიზანი და პუნქტებად ჩამოაყალიბეთ

ეფექტურობისათვის გამოსაყენებელი საშუალებები

- ცნობილი გამონათქვამები
- შეკითხვა
- ფაქტები და სტატისტიკა
- ცნობილი ისტორია

შესავალი და საკვანძო დებულება

საკვანძო დებულება მთელი ესეს მთავარი დებულებაა

რა არის საკვანძო დებულება

ჰგავს აბზაცის მთავარ წინადადებას, თუმცა უფრო ფართოა, მასში მთელი ესესთვის არის გადმოცემული წამყვანი აზრი.

საკვანძო დებულებაში გადმოცემულია დამოკიდებულება, მოსაზრება ან იდეა თემის შესახებ.

საკვანძო დებულების ადგილი

ჩვეულებრივ, ის შესავალ აბზაცშია ხოლმე მოცემული,

რომელიც უნდა აიხსნას და განიმარტოს განმავითარებელ აბზაცში.

რა უნდა გვახსოვდეს საკვანძო დებულებასთან დაკავშირებით

I

გადმოცემული უნდა იყოს სრული წინადადების სახით

კითხვის სახით არ უნდა იყოს წარმოდგენილი

უნდა გამოხატავდეს დასრულებულ აზრს

მცდარი საკვანძო დებულება

სიბნელის შიში.
მე მეშინია სიბნელის ან ჩემი სიბნელის შიში

სწორი საკვანძო დებულება

სიბნელის შიში ჩემს ცხოვრებას აუტანელს ხდის.

II

საკვანძო დებულებაში გადმოცემული აზრი , დამოკიდებულება ან იდეა ესეში უნდა განვითარდეს.

საკვანძო დებულებაში პოზიცია უნდა გაცხადდეს და არა ის, თუ როგორ იქნება ის აზრი წარმოდგენილი ნაშრომში.

მცდარი საკვანძო დებულება

განვიხილავთ რადიაციის გავლენას.

სწორი საკვანძო დებულება

ხშირად რადიაციის შედეგები სრულიად პროგნოზირებადია

III

საკვანძო დებულება უნდა გამოხატავდეს შეხედულებას და არა ფაქტს, რომლის ჭეშმარიტებაშიც ძნელად თუ შეიძლება ეჭვი შეეპაროს ვინმეს.

საკვანძო დებულება, რომელსაც შეიძლება ვინმე არ დაეთანხმოს, უნდა აიხსნას და დასაბუთდეს.

მცდარი საკვანძო დებულება

ძროხა გვაძლევს რძეს

კოლეჯში ჩაბარებას ბევრი ნაკლი და ბევრი დადებითი მხარე აქვს

სწორი საკვანძო დებულება

რძე, რომელსაც ძროხა გვაძლევს, ყოველთვის არ შეესაბამება ადამიანის მოთხოვნებს.

კოლეჯში ჩაბარება აშკარად სჯობს არჩაბარებას

IV

საკვანძო დებულება უნდა გამოხატავდეს მხოლოდ ერთ იდეას ერთ თემასთან დაკავშირებით.

თუ ორი ან მეტი იდეაა გადმოცემული, არსებობს რისკი, რომ ესე არ იქნება ლოგიკურად გამართული და წინადადებები ერთმანეთს აზრობრივად ვერ დაუკავშირდება.

მცდარი საკვანძო დებულება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება შეიძლება გასართობი რამ იყოს და მე აღმოვაჩინე, რომ დიდი ქალაქის გარეუბანი უფრო კარგი საცხოვრებელი ადგილია, ვიდრე _ კოლეჯი.

სწორი საკვანძო დებულება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარება გასართობი (მხიარული) რამაა.

განსაზღვრეთ, არის თუ არა დებულება საკვანძო.

1. გენეტიკის უპირატესობები.
2. ჩემი სურვილია, განვიხილო საკუთარი შეხედულება ოლიმპიურ თამაშებზე.
3. სტუდენტებს წიგნის მაღაზიაში მუშაობის ნება უნდა დართონ.
4. როდესაც პირველად ვესტუმრე შეერთებულ შტატებს, არ ვსარგებლობდი სწრაფი კვების ობიექტებით და გაოცებული ვიყავი სავაჭრო ცენტრებით.
5. რატომ არ მინდა, რომ მოსამართლე გამოვიდე?
6. საქართველოს რესპუბლიკურ და კონსერვატულ პარტიებს შორის განსხვავება.
7. უცხო ენის ცოდნა ყველასათვის კარგია.
8. ვაპირებ, აღვწერო საკუთარი სახლი.
9. თბილისსა და ქუთაისს შორის ბევრი მსგავსება და განსხვავებაა.

ნიმუში: მე ვაპირებ, აგიხსნათ, თუ რატომ გადავწყვიტე კოლეჯში ჩაბარება.
კოლეჯში სწავლის გაგრძელება რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო.
.

1. ქიმიური ნარჩენების შენახვის საფრთხე.
2. ქალაქსა და სოფელში ცხოვრება ბევრი რამით ჰგავს და განსხვავდება ერთმანეთისგან.
3. თბილისი საქართველოში ყველაზე დიდი ქალაქია.
4. ზღვისპირა ქალაქში ცხოვრება გაცილებით უკეთესია, ვიდრე მთიან ადგილზე.
5. საქართველოს უნივერსიტეტები უფრო მეტ ჰუმანიტარულ კურსებს საჭიროებენ; მათ, აგრეთვე, მეტი სოციალური აქტივობა ესაჭიროებათ.

ქალაქსა და სოფელში ცხოვრება ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს და ბევრი რამით განსხვავდება



სოფელი საუკეთესო საცხოვრებელი გარემოა

”ჩვენ ყველანი ქალაქისკენ მივემართებით”, – ამ სიტყვებს უამრავი სოფელში მცხოვრები ამბობს დღეს. როცა მათ გადაადგილების მიზეზების ეკითხებიან, მარტივად უპასუხებენ, რომ ქალაქში ცხოვრება გაცილებით განვითარებულია, ვიდრე სოფელში. ქალაქში არსებობს ტრანსპორტი, საკომუნიკაციო საშუალებები საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურება, ასევე აქ სამსახურის დაწყების უფრო მეტი შანსია. მე ვეთანხმები იმ ადამიანებს, მაგრამ იფიქრეს თუ არა მათ საკუთარ ჯანმრთელობაზე? იფიქრეს თუ არა იმ საფრთხეზე, რომელიც მათ შვილებს ემუქრება? ეს საფრთხე შეიძლება არ გამოჩნდეს პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ ის აუცილებლად გამოვლინდება მომავალში, როცა ქალაქი სხვადასხვა ეროვნებისა და წარმოშობის ადამიანებითა და უამრავი მანქანით გაივსება. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მოკლებულია მომსახურების ზოგიერთ სფეროს, რომელიც ზემოთ ვახსენე , ის ჩემი აზრით კვლავ რჩება საუკეთესო საცხოვრებელ გარემოდ.

თხზულების ძირითადი ნაწილი

განმავითარებელი აბზაცი

ფუნქცია

საკვანძო დებულების ახსნა, ილუსტრირება, განხილვა და დასაბუთებაა.

საკვანძო დებულების მახასიათებლებია

I

განმავითარებელი აბზაცის წამყვანი აზრი უნდა ეხმაურებოდეს საკვანძო დებულების ძირითად იდეას.

მაგალითად

თუ საკვანძო დებულება ისაა, რომ "მოწევა დამანგრეველი ჩვევაა", მაშინ თითოეული აბზაცი ამ გავლენის დამანგრეველ შედეგებს უნდა შეეხებოდეს.

II

თითოეული განმავითარებელი აბზაცი უნდა განიხილავდეს მთავარი თემის მხოლოდ **ერთ ასპექტს.**

მაგალითად

*თუ თქვენ წერთ ნაშრომს სიგარეტის მოწევის **<u>გავლენის</u>** შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაშინ თითოეულ განმავითარებელ აბზაცს უნდა ჰქონდეს თემა "სიგარეტის გავლენა"..*

თუ თქვენ წერთ ნაშრომს, რომ სოფელი საუკეთესო საცხოვრებელი გარემოა, მაშინ თითოეულ განმავითარებელ აბზაცს უნდა წარმოაჩენდეს სოფლის უკეთესობასა და განსაკუთრებულობას.

განმავითარებელი აბზაცი თანმიმდევრული და ლოგიკური უნდა იყოს, სხარტად, მოქნილად უნდა იკითხებოდეს და მთლიანობით უნდა ხასიათდებოდეს.

აბზაცები და აბზაცში შემავალი წინადადებები ლოგიკურად უნდა უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს

განმავითარებელი აბზაცი განიხილავს საკვანძო დებულების ერთ ასპექტს.

დებულების შერჩევის შემდეგ ის ლოგიკურად თითოეულ აბაზიცისათვის თემებად უნდა დაიყოს.
ეს თემები კი დებულების დასაბუთებაა

საკვანძო დებულების თემებად დაყოფა

ერთ-ერთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება საკვანძო დებულების თემებად დაყოფა, დებულების კითხვად გადაქცევაა.

კითხვაზე პასუხები შეიძლება განმავითარებელი აბზაცის თემად იქცეს.

საკვანძო დებულება

სოფელი საუკეთესო საცხოვრებელი გარემოა

კითხვა

რა აქცევს სოფელს საუკეთესო გარემოდ?

პასუხი

- ადამიანთა ახლო ურთიერთობები
- ნაკლებად დაბინძურებული გარემო
- უსაფრთხო ცხოვრება

საკვანძო დებულება

ქალაქი არის ადგილი , სადაც მე ვიცხოვრებდი

თემატური წინადადება

- მე მიზიდავს გასართობი ადგილები
- მომწონს რესურსების ხელმისაწვდომობა
- კულტურული დაწესებულებები

კითხვა

რა მხიბლავს , რატომ მომწონს ქალაქი?

თემატური წინადადება

- მე მიზიდავს გასართობი ადგილები
- მომწონს რესურსების ხელმისაწვდომობა
- კულტურული დაწესებულებები

ინგლისური ენის სწავლა ადვილი არაა.

1. _____
2. _____
3. _____

2. ავტობუსით მგზავრობა შეიძლება არც ისე უსაფრთხო იყოს.

1. _____
2. _____
3. _____

3. უმუშევრობამ შეიძლება ადამიანს საკუთარი თავის პატივისცემა

დასკვნა

დასკვნითი აბზაცის ფუნქცია დისკუსიის დამთავრებაა.

განვითარების ლოგიკური დასასრულია

დასკვნის წერის სტანდარტული წესები

განხილული ქვეთემები ხელახლა გაცხადდება,

მხოლოდ მიმოხილვა უფრო მოკლე უნდა იყოს

საკვანძო დებულების ხელახალი გაცხადება დასაშვებია , მხოლოდ ტავტოლოგიის გარეშე.

დასკვნაში ახალი თემაის, ახალი იდეისა და ასპექტის გაჩენა დაუშვებელია

მოცემულია საკვანძო დებულებები დასაბუთებული დებულებებითა და დასკვნებით. განიხილეთ, არის თუ არა დასკვნა ლოგიკური მოცემული წი ნადადებებისთვის. დაასაბუთეთ თქვენი დასკვნა.

საკვანძო დებულება:

ტელევიზორის ყურება არ არის დროის ფლანგვა.

ა) ის სასარგებლო საგანმანათლებლო საშუალებაა;

ბ) ის გართობის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც მოდუნე ბის საშუალებას იძლევა;

გ) ის მასალას იძლევა ოჯახური დისკუსიებისთვის.

კრიტიკოსები აგრძელებენ ტელევიზორის კრიტიკას, მაგრამ მისი საგანმანათლებლო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს დ ა კ ი დ ე ვ ი მ ი ს გ ა მ ო , რ ო მ ი ს უ ლ ე ვ მ ა ს ა ლ ა ს ი ძ ლ ე ვ ა დ ი ს კ უ ს ი ი ს თ ვ ი ს , ჩვენი ოჯახი ტელევიზორის ხანგრძლივ ყურებას აგრძელებს . ასევე მოიქცევიან სხვებიც. მ ა რ თ ლ ა ც , ტ ე ლ ე ვ ი ზ ო რ ი ს ყ უ რ ე ბ ა დ რ ო ი ს გ ა ყ ვ ა ნ ი ს , დ რ ო ი ს ფ ლ ა ნ გ ვ ი ს ს ა უ კ ე თ ე ს ო საშუალებაა.